03/09/2025

საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში ღირებულებითი განათლების კლუბების დამფუძნებელი მოძღვრების შეხვედრა გაიმართა

ამა წლის 2 სექტემბერს საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში ღირებულებითი განათლების კლუბების დამფუძნებელი მოძღვრების შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ამავე სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე და მისი მოადგილე, დეკანოზი გურამ ჭარელაშვილი უძღვებოდნენ.

შეხვედრას ესწრებოდნენ აგრეთვე მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრის წარმომადგენლები, ანი კუდუხაშვილი და მანანა ჯინჭარაძე.

შეხვედრაზე განხილულ იქნა განვლილი წელი, თბილისის სკოლებში არსებული ღირებულებითი განათლების კლუბების საქმიანობისადმი მიძღვნილი გამოხმაურებები და დაისახა მომავალი წლის სამოქმედო გეგმა.

sazu.ge